............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მარეგულირებელი წესი. (ბრძ:345 31/12/2025 წელი)

2. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის, შეფასების წესისა და სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძ:345 31/12/2025 წელი,მუხლი 10, 13,14,15,)

3. 2026-2031 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული ამავე გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე (ბრძ:N16 23/01/2026 წელი).

4. ბრძანება სამოქმედი გეგმის დამტკიცების შესახებ: (ბრძ:N347 31/12/2025 წელი)

5.დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

6. პერსონალთან ინტერვიუ და ფოტო მასალა.
7.სამოქმედი გეგმის დამტკიცების ბრძანება ბრძ:N 347 31/12/2025წ
8.სამოქმედო გეგმის გაზიარების ოქმი N1/5 13.01.2026 წელი  და ფოტომასალა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☒ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა
.................................................................................................................................................................................................................................
კურიკულუმის დასახელება
1) ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში . 2) სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში'
.................................................................................................................................................................................................................................

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული  კურიკულუმით

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით, დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის ამსახველი დოკუმენტი (ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძ.N36 – 28.01.2026) დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმებით- ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" (ნაწილი I და II) და სასკოლო მზაობის პროგრამა"თამაში". დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების/ შერჩევის ამსახველი დოკუმენტები/მასალები (ბრძ.N340-31.12.2025 –კურიკულუმის შესარჩევად სპეციალისტთა ჯგუფის დამტკიცება) ,(ბრძ,N32. 23.01.2026-კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი ( 30.12.2025წ), კურიკულუმის პერსონალთან გაზიარების ოქმი N 4/1 (27.02.2026) და კურიკულუმის მშობლებთან გაზიარების ოქმი N5 (12.03.2026), ასევე,
ბრძანების დანართებში წარმოდგენილია:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" -ნაწილი I, მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" -ნაწილი II, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" - აღმზრდელის სახელმძღვანელო, სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I და სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II . დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს, წინასწარ არის შერჩეული.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ შერჩეული კურიკულუმის წიგნები მატერიალური სახით წარმოადგინა მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელის სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული მე-2 ნაწილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალს, კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმი მიაწოდოს მატერიალური სახით.

სასურველია, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს -კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად და იზუროონოს, დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და დამკტიცებული კურიკულუმთან მიმართებით.

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი (ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" (ნაწილი I და II) და სასკოლო მზაობის პროგრამა"თამაში"), რომლითაც ხელმძღვანელობს. ადრეული განათლების კურიკულუმი"თამაში" ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ შედეგების მიღწევას. კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს. (პროგრამის ხარისხსის სტანდარტი). განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული განვითარების თითოეული სფეროს და თემატური მიმართულებების შედეგების მიღწევა კურიკულუმით არის შესაძლებელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც შექმნილია საქართველოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვის მიზნით, მოიცავს სამ ძირითად დოკუმენტს. ესენია: სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი) და აქტივობების კრებული სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში" არის ბავშვზე ორიენტირებული, თამაშზე დაფუძნებული, რომლის მიზანია ბავშვის განვითარების ხელშეწყობა და ჰოლისტური განვითარება

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი (ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" (ნაწილი I და II) და სასკოლო მზაობის პროგრამა"თამაში"), რომლითაც ხელმძღვანელობს.

თამაში კურიკულუმის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს და მიყვება ბავშვის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასა და კრეატიულობას. თამაში ქმნის შესაძლებლობებს, სადაც ბავშვი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური თამაშების მონაწილე, სწავლობს, ატარებს ექსპერიმენტებს და ქმნის ახალ რეალობებს. კურიკულუმი განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს ბავშვის აქტიურ მონაწილეობაზე, მის წამყვან როლზე ინტერესების და აქტივობების განსაზღვრაში, უფროსები კი მათთვის გზამკვლევისა და მხარდამჭერის როლს ასრულებენ.

ბავშვები სწავლობენ ყველა სიტუაციაში, ერთი შეხედვით თიტქოს უმნიშვნელო სიტუაციაშიც, როგორიცაა გადასვლები სივრცეებში, ბაღში წასვლა-მოსვლა, სადილი და სხვა რუტინული საქმიანობები. თამაში, რომელიც ბავშვების მიერ არის ინიცირებული, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასევე თამაში, რომელიც აღმზრდელის მიერ არის მოფიქრებული და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობია. თამაშის დროს ბავშვისთვის თავად პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი, იგი ამ პროცესში მონაწილეობით იღებს სიამოვნებას და არ ფიქრობს საბოლოო პროდუქტზე.

ადრეულ ასაკში ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თამაშის დროს მათი თავისუფალი არჩევანი იყოს გათვალისწინებული , მხოლოდ ასეთ საქმიანობას არქმევენ ბავშვები თამაშს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................
რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი ოჯახს პარტნიორად განიხილავს და მისთვის კეთილმოსურნე გარემოს უზრუნველყოფს, პატივს სცემს და ასახავს ოჯახურ ღირებულებებს, სთვაზობს ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა შესაძლებლობას. უზრუნველყოფს კომუნიკაციის ძლიერ სისტემას და ეხმარება ურთიერთობების დამყარებაში. გამოხატავს მზაობას, დაამყაროს კავშირები თემთან, რომლებიც ოჯახებს ემსახურება.

კარგი ბაღი ბავშვის განვითარებასა და სწავლას ემსახურება, საუკეთესო კი ოჯახებს აძლიერებს. დაწესებულება წაახალისებს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, პროგრამის ფარგლებში ბავშვებს გაუზიარონ საკუთარი პროფესიული ცოდნა, უნარები, ინტერესები და კულტურა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
.
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ სააღმზრდელო ჯგუფთან განათავსოს საინფორმაციო დაფა, სადაც გაზიარდება კურიკულუმიდან გამომდინარე ინფორმაცია, ჯგუფში მიმდინარე თემების, აქტივობების და ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა საკითხის შესახებ. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, მშობლებისთვის/ კანონიერი წარმომადგენლებისთვის კურიკულუმების მატერიალური სახით ადგილზე გაზიარება.
სასურველია, დაწესებულებამ მშობლებთან გასაზიარებელი ყველა ინფორმაციის მიწოდება, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს, როგორც ქართულ ასევე სომხურ ენაზე.

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი ჯგუფის საგანმანათლებლო რესურსით ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანია, გულისხმობს როგორც მზა, ისე - ბუნებრივ, ხელნაკეთ და მეორად მასალებს; საქმიანობები ხორციელდება როგორც დაწესებულების ტერიტორიაზე, ისე - მის გარეთ (სკოლაში ვიზიტი, ექსკურსიები,ლაშქრობები, სტუმრის ვიზიტები ბაღის სივრცეში და სხვა); თითოეულ ბავშვს შეუძლია ნებისმიერ საქმიანობაში ჩართვა და აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა;
შიდა და გარე სივრცეების მრავალფეროვნება: გარე სივრცეები მოიცავს საქვიშეს, ტალახის სამზარეულოს, სასრიალოს, უსაფრთხო საძრომიალოს და საქანელებს და განმარტოების სივრცეებს.

კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.ჯგუფის ფიზიკური გარემო,დღის განრიგი,გეგმის ფორმაში ინდივიდუალიზაციის გრაფის არსებობა იძლევა იმის საშუალებას,რომ აქტივობები დაიგეგმოს ასაკისა და განვითარების შესაბამისად, რაც ვლინდება კურიკულუმის მე-7 თავში- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა.
თითოეულ ბავშვს აქვს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული, კურიკულუმი (ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II) და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ რომლითაც ხელმძღვანელობს.

კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის, მე-3 მუხლის შესაბამისად დაწესებულებამ შერჩეულ კურიკულუმებს გააზიარებს მშობლებთან და დაწესებულების პერსონალთან (28.01.26 წლის ბრძ. N36 ) კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება ოქმი N 4/1-ით (27/02/2026 ) . დაწესებულების კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო არხებს (ბრძ. N346 30.12.25 წლის ).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რეკომენდაცია
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება #36 – 28.01.2026წ

2. კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი - ბრძ. N32 -23.01.2026.

3. კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მასალები - პერსონალთან გაზიარების ოქმი N4/1 -27.02.2026წ

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

. დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება №33- 23.01.2026წ) . ბრძანების მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში - გეგმა/გეგმები).

2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

3. გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ) და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები. ადგილზე ვიზიტისას, ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულების პერსონალს არ აქვს ინფორმაცია, კურიკულუმის შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელ ვადიანი გეგმის დანართებზე, აღმზრდელის მიერ წარმოდგენილი რის გეგმები, არ შეესაბამება კურიკულუმის გეგმის კრიტერიუმებს, თუმცა, დაწესებულებაში ვიზიტისას, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მხოლოდ მოკლევადიანი შაბლონი შეესაბამება კურიკულუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს (ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით განსაზღვრული კურიკულუმის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო პერსონალის ინფორმირება და კომპეტენციების ამაღლება. საგანმანათლებლო პერსონალმა აწარმოოს კურიკულუმის შესაბამისი, კვირის და წლიური გეგმები, რომელიც არ არის წინასწარ თემატურად გაწერილი. კვირის გეგმა დაეყრდნოს, კურიკულუმის მიზნებს, სტარტეგიებს და ბავშვების ინტერესებს, შერეული ჯგუფების შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს ასაკობრივი თავისებურებები, ხოლო წლიური გეგმა შეადგენდეს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება №33- 23.01.2026წ) , რომელშიც გაწერილია, გეგმების პერიოდულობა შემდეგნაირად: დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.დაწესებულების მიერ დამტკიცებული, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის", მე-3 მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს, ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, თამაშზე ორიენტირებულ პროცესს,სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას და ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ გრძელვადიანი გეგმის დანართი, რომელიც შეესაბამება კურიკლუმს, თუცა მათ მიერ გაზიარებულ პორტფოლიოში და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს ინფორმაცია კურიკულუმის მოკლევადიან (ერთკვირიანი) გეგმების შესახებ, არ ფლობენ ინფორმაციას გეგმაში შემავალი კომპონენტების: მიზნების, სტრატეგიების, ინდივიდუალიზაციის შესახებ. აღმზრდელების მიერ, ადგილზე წარმოდგენილი გეგმები არ არის კურიკულუმის შესაბამისი და

არ ჩანს თანამონაწილებითი პროცესი. ინტერვიუზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს ყოველდღიურ გეგმებს, ( წინასწარ გაწერილი თვეებზე) რომელიც მოიცავს მხოლოდ თემის დაგეგმვას, სადაც არ ჩანს არც ბავშვის ინტერესი, არც მიზნები, არ ინდივიდუალიზაცია და სტარტეგიები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

- ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს (ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“- მე-3 მუხლის შესაბამისად, კურიკულუმის შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმების შემუშავება.
- ................................................................................................................................................................................................................................................ ...........................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პერსონალის, კურიკულუმის ტრენინგით გადამზადება. კურიკულუმის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, დაგეგმვაში თანამონაწილეობითი პროცესის ხელშეწყობა და ყველა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობას, რათა ხელიშეუწყოს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ (2.2.1.2..) • ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულება უზრუნველყოს (ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“- მე-3 მუხლის შესაბამისად, კურიკულუმის შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმების შემუშავებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12/05/2028წელი. 24 თვე (ნაწილობრივი). აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" (ბრძანება №33- 23.01.2026წ), მე-4 მუხლის მიხედვით, მოკლევადიანი გეგმა მოიცავს ინდივიდუალიზაციის ასპექტებს, თანამშრომლობას სერვის პროვაიდერთან, ინდივიდუალი გეგმის შემუშავების და ერთობლივი მიზნების დასახვას.

საგანმანათლებლო პროცესის (კურიკულუმის) დაგეგმვისა და შეფასების მექნიზმის მიხედვით დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: 1) დღის განრიგი 2) აღმზრდელის პორტფოლიო 3) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო 4) ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო.

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი(ბრძანება №33- 23.01.2026წ). აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში იკითხება: რომ შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს „ჯგუფის საჭიროებებს“ და „ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს“ . ამავე წესის მე-4 მუხლი არეგულირებს მოკლევადიან გეგმაში ინდივიდუალიზაცის ასპექტებს და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის შედგენას.

ადგილზე ვიზიტისას, წარმოდგენილი მოკლევადიანი ( ერთ დღიანი) გეგმის ნიმუშები, არ მოიცავს ინდივიდუალიზაციის კომპონენტს, თუმცა საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე,(აღმზრდელის, სპეც პედაგოგის) ბავშვზე დაკვირვების და რეფლექსიურ ჩანაწერებში გამოიკვეთა, ბავშვების საჭიროებების და ინტერესების დანახვა და პროცესის ინდივიდუალიზება, როგორც თითოეული ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით, ასევე, ჯგუფის მიხედვით.

(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფსიქოლოგთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა განვითარების ცენტრთან თანამშრობლობა. დაწესებულების სპეციალური განათლების პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დაადასტურდა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომები, რაც დასტურდება კურიკულუმის შესაბამისი, დაკვირვების ჩანაწერებით და ინდივიდუალური გეგმის ფორმის წარმოდგენით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს, კურიკულუმის შესაბამისი გეგმებით, სადაც გეგმის ყველა კომპონენტი იქნება გათვალისწინებული, კურიკულუმის მიზნები, სტარტეგიები, ინდივიდუალიზაცია, რეფლექსია....რათა შეძლონ ყველა ბავშვის ინტერესების და საჭიროებების ასახვა.

სასურველია, სპეციალური საჭიროების მქონე მშობელებთან ურთიერთობისას საგანმანათლებლო პერსონალმა, აქტიურად ჩართოს გაერთიანების ფსიქოლოგი, რათა გუნდურად იზრუნონ მშობლის ცნობიერების ამაღლებას და საჭირო სერვისების შესახებ ინფორმირებაზე.

სასურველია, დაწესებულებამ ითანამშრომლოს ადგილობრივ განვითარების ცენტრთან, მაგ: გააფორმოს მემორანდუმი, გუნდური მუშაობის მიზნით.

სასურველია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა დაიგეგმოს მუტიდისიპლინური გუნდის ჩართულობით. (აღმზრდელი, თანაშემწე, სპეც პედაგოგი, ფსიქოლოგი, მშობელი და განვითარების ცენტრის სპეციალისტი)

.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" (ბრძანება №33- 23.01.2026წ), მე-4 მუხლის მიხედვით, გეგმა მოიცავს ინდივიდუალიზაციის ასპექტებს, თანამშრომლობას სერვის პროვაიდერთან ინდივიდუალ გეგმის შემუშავების და ერთობლივი მიზნების დასახვას. მე-4 მუხლის ყველა კომპონენტი მოიცავს, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დანახვას და შესაბამის მიზნების განსაზღვრას. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის", მე- 7 მუხლის ა და გ ქვეპუნქტში განსაზღვრულია, ფიზიკური გარემოს ცვლილება: „ ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე“ და „ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე“.

დაწესებულებაში ვიზიტისას, სპეც პედაგოგის წარმოებული პორტფოლიო და ინდივიდუალური გეგმის ფორმა, ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" (ბრძანება №33- 23.01.2026წ) მე-3 მუხლის გ) და დ) პუნქტით ყურადღება მახვილდება, „თამაშზე ორიენტირებული პროცესზე“ და „სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა“.

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში და თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება დღის განრიგში, სივრცეებად დაყოფილი, მეორადი ხელნაკეთი და ბუნებრივი მასალის განთავსებით გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტისას, საგანმანათლებლო პერსონალან, ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს ინფორმაცია, ჯგუფში დროითი გარემოს მნიშვნელობაზე, ტრანზიციის დაგეგმვის, განხორციელების და სტარტეგიების შესახებ. ტრანზიციის პროცესში თამაშის ელემენტების მნიშვნელობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის წესის შესაბამისად შესრულება,საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა თამაშით, მათ შორის ტრანზიციის განხორციელება.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ დაგეგმოს, საგანმანათლებლო პესონალის პროფესიული კომპეტენციების განვათრების ხელშეწყობა.

სასურველია, საგანმანათლებლო პერსონალს ქონდეს ინფორმაცია, ჯგუფში დროითი გარემოს მნიშვნელობის შესახებ, რაც მოიცავს: აქტივობიდან აქტივობაზე, გადასვლა - ოთახიდან დარბაზში, ოთახიდან ეზოში, დილის წრიდან ცენტრებში, რუტინებზე გადასვალ- ხელის დაბანა, კვება, ძილი..ეს პროცესი უნდა წარიმართებოდეს თამაშით: მოკლე სახალისო სიმღერა, ვიზუალური ან ვერბალური მიმანიშნებელი, ხმოვანი შეტობინებები და ა.შ

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუასაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ (2.2.1.5..) ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის წესის შესაბამისად შესრულებაა, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა თამაშით, მათ შორის ტრანზიციის განხორციელებას. დაწესებულება დაგეგმავს და განახორციელებს საგანმანათლებლო პესონალის პროფესიული კომპეტენციების განვათრების ხელშეწყობის ღონისძიებებს, ტრენინგებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12/05/2028წელი. 24 თვე (ნაწილობრივი). აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში, დღის განმავლობაში თითოეული ბავშვს ექნება სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: სამაგიდო და წესებიანი, დრამატული თამაშები, კვლევითი თამაშები, სენსორული, მანიპულაციური თამაშები და კონსტრუქციული. რაც ვლინდება როგორც აღმზრდელის ინტერვიუში მოყვანილ მაგალითებში, ასევე ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფების სივრცეში. დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილი სივრცეები, არის არის დაცული, ხმაურიანი და მშვიდი, მცირე და დიდ ჯგუფური აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ცენტრების ურთიერთ განლაგება, არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, სივრცეები მკაფიოდ არის გამოყოფილი ერთმანეთისგან და მათ შორის გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი. ჯგუფებში წამოდგენილია წიგნიერების,ხელოვნების, წყნარი სივრცის, მეცნიერების ცენტრები, რომლებიც მწირი რესურსით არის აღჭურვილი, გარდა სენსორული სივრცისა, თუმცა სასურველია რესურსების მრავალგვარობა და მრავალფეროვნება. დაწესებულებას აქვს დარბაზი, შიდა სივრცე მოტორული აქტივობებისთვის.

ფიზიკური გარემოს ვიზუალური დათვალიერებით იკვეთება, რომ ეზო არის მოცულობითი, განთავსებულია კუსტარულად დამზადებული საქანელა, რომელიც არ არის უსაფრთხო,ეზოში არ არის საჩრდილობელი და მშვიდი სივრცე, ეზოში განლაგებული რესურსი არ იძლევა საშუალებას ბავშვმა შეძლოს ყველა ტიპის თამაშში ჩართულობა.

დაწესებულებას, ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმაში 12 თვის ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გაითვალისწინოს გარე სივრცის კურუკულუმთან შესაბამისი მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვისთვის სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას, როგორც დაწესებულების შიგნით, ასევე გარე სივრცეში, დაიცვას უსაფრთხოების წესები.
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის მითითებულ ვადებში განხორციელება.
დაწესებულებამ უზრუნველყოს როგორც ჯგუფის შიგნით ასევე, გარეთ ბავშვებისთვის, მრავალფეროვანი აქტივობების და რესურსის შეთავაზება.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის თანახმად, პერსონალის პირად საქმეს აწარმოებს ბაღების გაერთიანება. შინაგანაწესის გაცნობის ხელწერაც აქ ინახება . პირადი საქმე არის კონფიდენციალური, შეიცავს ამ წესით განსაზღვრულ ყველა დოკუმენტაციას. პირადი საქმე ინახება ბაღების გაერთიანებაში. პირადი საქმის წარმოების წესში (ბრძ:N338 31/12/2025 წელი. მუხლი 16 ) განსაზღვრულია კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. აღნიშნულს ადასტურებს პერსონალთან ინტერვიუ, ისინი ადასტურებენ, რომ მათი პირადი საქმეში არის ყველა იმ დოკუმენტის ჩამონათვალი ,რომელიც პირადი საქმის წარმოების წესში აქვთ გაწერილი , ასევე დაწესებულებაში პერსონალის პირადი საქმე განახლებადია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..............................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ პერსონალის და ბავშვის პირადი საქმე აწარმოოს ქართულ ენაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომუნიკაციისა და ადმინისტრციული პროცესების გამარტივება.

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, (ბრძ.N 35. 28/01/2026 წელი)
2. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის ბრძანება( ბრძ:N 34. 23/01/2026 წელი)
3. ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი( ბრძ:N 342 31/12/2025 )
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი: (ბრძ:N338 31/12/2025 წელი. მუხლი 16 )
5. გაერთიანებისა და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ
6. ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმე

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი ,პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი ბრძ:N72 16/03/2026 წელი, სადაც გაწერილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესი.

თვითშეფასებიდან გამომდინარე ბავშვებთან მომუშავე პერსონალს არ გაუვლია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით (მეტწილი) .ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პირველადი გადაუდებელი დახმარების სერტიფიკატი (ა.ო ,,საბავშვო ბაღების კონსულტანტი ს/კ 405800156)

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ,წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით (მეტწილი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება

რჩევა

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები აღრიცხულია და არსებობს ინფორმაცია მათი უვნებლობის შესახებ. დაწესებულებას გაწერილი აქვს დაწესებულების ტერიტორიაზე მცენარეების აღრიცხვის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია ინფორმაცია მცენარეების ,პერსონალის, ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ.

აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით ( მეტწილი)

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების დაცვის წესი,( ბრძ N 75 16/03/2026 წელი დანართი N1.)აღნიშნულ წესში არსებობს ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული მცენარეების შესახებ:

1) მცენარეების შერჩევის კრიტერიუმები : მუხლი 2 ბრძ N 75
2) მოვლა და კონტროლი: მუხლი 4 ბრძ:N 75
3) ბავშვების ურთიერთობა მცენარეებთან მუხლი 5 ბრძ;N75
4) საგანგებო სიტუაციები და პასუხისმგებლობა მუხლი 6 7 ბრძ:N75
5) საფრთთხის შემცველი მცენარეების ჩამონათვალი და რეკომენდაციები

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა ბავშვების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემუშავებული წესი/მექანიზმი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას უსაფრთხოების ნორმების დაცვის მარეგულირებელ მექანიზმს,ბავშვის გარეთ გაყვანისას უსაფრთხოების დაცვის წესი ბრძ :N 74 დანართი N1) სადაც დეტალურად არის გაწერილი დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის მექანიზმი, რაც დასტურდება ( ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის მექანიზმი: ( მუხლი 3 ბრძ;N 74), ფოტო და ვიდეო გადაღების წესი : ( მუხლი 4 ბრძ: 74 ), უფლებამოსილი პირს განსაზღვრის ფორმა/მშობლის განაცხადი, მშობლის თანხმობის ფორმა გარეთ გაყვანაზე, მშობლის თანხმობა ფოტო ვიდეო გადაღებაზე. ასევე მშობლების ინფორმირებულობას და ნებართვას (წერილობით ფორმით) ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ,პერსონალთან ინტერვიუთ დასტურდება, რომ აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულების ნიმუშში, ერთ ერთ პუნქტად. დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვის გარეთ გასვლის ნებართვის ფორმა/ნიმუში (01/01/2026 წელი) ნებართვა წარმოადგენს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს .

აღნიშნულიან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლმა წარმოადგინა დაწესებულების დასურათებული  დღის განრიგი, რომელიც ასახავს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობას. ბავშვები თავს უფრო დაცულად გრძნობენ როცა აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ. დღის განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს.დაწესბულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი არის დასურათებული და ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას . აღნიშნულს ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი,რომელიც საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს ორგანიზებულს ხდის რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ  საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ  წარმოადგინა ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესი’’ (ბრძ: N337   31/12/2025 წელი, რომლითაც მტკიცდება , რომ  აღმზრდელები და სხვა პერსონალი იყენებენ არაძალადობრივი მოპყრობის მეთოდებს.   ბაღი გამოყოფს ბავშვთა მიმართ ძალადობის , თავიდან აცილებისა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელ პირს,(რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ) რომელიც მტკიცდება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების  პასუხისმგებელი პირების დანიშვნის ბრძანება  ( ბრძ: N337   31/12/2025 წელი)   უზრუნველყოფილია  მშობლებთან და თემთან მჭიდრო ურთიერთობა. ბავშვთა უფლებების დაცვა დაწესებულების ერთ-ერთი ღირებულებაა. აღნიშნულ ინდიკატორს  ასევე ადასტურებს დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ,რომლებმაც იციან,რომ დაწესებულებაში

უმნიშვნელოვანესია არაძალადობრივი გარემოს შექმნა ,სადაც, ბავშვს პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს, მასზე ზრუნავენ, არ აშინებენ და არ აიძულებენ.ისინი ფლობენ ინფორმაციას, ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის ფორმების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი , ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი'' (ბრძ:N337 31/12/2025 წელი) სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის.დაწესებულებას გათავისებული აქვს საკუთარი როლი და სწორი რეაგირება ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში ,აღნიშნულს ადასტურებს პერსონალი, რომლებიც იცნობენძალადობის ნიშნებს, რომლის შემჩნევის შემთხვევაში მიმართავენ ხელმძღვანელ პირს ,მიმართავენ ცხელ ხაზს. სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც დასტურდება ამავე ბრძანებით(ბრძ:N337 31/12/2025 წელი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ადაპტაციის და ტრანზიციის წესი: ( ბრძანება N76 16/03/2026 წელი დანართი N1 ), სადაც გაწერილია დაწესებულების ადაპტაციის მექანიზმი და წესები( მუხლი 2 (ბრძ;N76), ტრანზიციის გარდამავალი მექანიზმი (მუხლი 3 ბრძ: N76) გარე და შიდა ტრანზიციის წესები,ადაპტაციის მექანიზმი და წესები ( მუხლი 2 ბრძ;N76) ტრანზიციის გარდამავალი მექანიზმი მუხლი 3 (ბრძ: N76) ადრეულ ასაკში ტრანზიცია მოიცავს პირველად შესვლას ბაღში, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლას, სკოლაში წასვლას.ამ პროცესში აღმზრდელები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერაში, ისინი ზრუნავენ რომ ტრანზიციები განვითარების და სწავლის შესაძლებლობად იქცეს და არ იყოს დამთრგუნველი ბავშვისთვის .აღმზრდელებთან ინტერვიუთ დასტურდება, რომ ბაღთან ბავშვების ადაპტაციის კუთხით მოხდება წინასწარი საორიენტაციო შეხვედრები, მშობლების მონაწილეობით.ეს პროცესი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი: ,,ბავშვზე ძალადობის ,ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესით'' (ბრძ:N337 31/12/2025 წელი) სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის შაბლონი, რომელიც წარმოადგენს მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშის ნაწილს . რომელსაც თან ერთვის მშობლის მიერ შესავსები კითხვარი. კონფედენციალური ინფორმაცია მოიცავს ფოტოებს, ვიდეოებს, ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ, დაწესებულების ,,ბავშვზე ძალადობის ,ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესში '' განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების,გამჟღავნების, განკარგვისა დაკონფედენციალურობის დაცვის პროცედურები. აღნიშნულს ადასტურებს აღმზრდელთან ინტერვიუ, მათ იციან ,რომ ინფორმაციის გაზიარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.ასევე კონფედინციალურობის დაცვა აყალიბებს ნდობას თანამშრომლებთან, ბავშვებთან და მშობლებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი’’ (ბრძ:N337 31/12/2025 წელი)

2. წერილი ( N15 10/02/2026 წელი) მუნიციპალიტეტის მერის სახელზე ,საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმის შემუშავების შესახებ

3. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება(ბრძ:N337 31/12/2025 წელი)

4.საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების დაცვის წესი,( ბრძ N 75 16/03/2026 წელი დანართი N1. მუხლი2,4,5,6,7,)

5.ბავშვის გარეთ გაყვანისას უსაფრთხოების დაცვის წესი ბრძ :N 74 დანართი N1)

6.გაერთიანების და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ.

7. დაწესებულების ადაპტაციის და ტრანზიციის წესი ბრძანება N76 16/03/2026 წელი დანართი N1

8.ადაპტაციის მექანიზმი და წესები( მუხლი 2 (ბრძ;N76)), ~

9. ტრანზიციის გარდამავალი მექანიზმი (მუხლი 3 ბრძ: N76)

10. გარე და შიდა ტრანზიციის წესები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს ფინანსური რესურსი, რაც დასტურდება ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტით , რომელიც დამტკიცებულია ახალქალაქის საკრებულოს მიერ 2025 წლის 24 დეკემბრის N 31 დადგენილებით. ყოველწლიური ბიუჯეტი იგეგმება გაერთიანების მიერ, დამფუძნებლის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში. ბიუჯეტი დაგეგმილია მუხლობრივად საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.გაერთიანების პერსონალთან ინტერვიუს შედეგად ასევე დასტურდება, რომ საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდება ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და გადამტკიცება, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების შესრულებას. იმ შემთხვევაში თუ საპროგნოზო ბიუჯეტი ვერ შესრულდება ,როგორც დაგეგმილი იყო ,დაწესებულება შეადარებს წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს და მომავალი წლის ბიუჯეტს გახდის უფრო რეალისტურს. .ბიუჯეტში ცვლილების შეტანა მოხდება საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების მიხედვით, რასაც ადასტურებს გაერთიანების ადმინისტრაციასთან და საფინანსო დარგის სპეციალისტთან ინტერვიუ. გაერთიანების პერსონალთან ინტერვიუს შედეგად ასევე დასტურდება , რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნებისა და აქტივობების შესრულების მიზნით გათვალისწინებული ხარჯები ,აისახება ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ2025 წლის 24 დეკემბრის N31 დადგენილებით დამტკიცებულ ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტით იკვეთება, რომ გაერთიანებაა არ აქვს გამოყოფილი თანხა სათამაშოების, სახელმძღვანელოების,

სასწავლო მასალების შესაძენად.ბიუჯეიტთ იკვეთება , რომ თანხა გამოყოფილია მხოლოს საკანცელარიო, საწერ- სახაზავი ქაღალდის და სხვა მასალების შეძენისთვის (30 ათასი ლარი ). შესაბამისად დაწესებულების არსებულ ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. (სათამაშოები, განმავითარებელი რესურსები,საგანმანათლებლო მასალები, ჯგუფის და ეზოს ინვენტარის შეძენა და ა.შ. შეძენას )

აღნიშნულიდან გამომდინარე სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება ,რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუასაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ (4.7.1.2.) ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილებას ,რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12/05/2027წელი .12 თვე (მეტწილი) აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ფინანსური რესურსების მართვის წესი (ბრძ: N78 16/03/2026 წელი)სადაც გაწერილია დაწესებულების ფინანსების დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის მექანიზმი,დაწესებულება ასევე წარმოადგინაინვენტარიზაციის წაერმოების წესი : ბრძანება N77 დანართი N1 16/03/2026 წელი. აღნიშნულს ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებები ( ელ-

0872976961), მიღება ჩაბარების აქტები , ბაღების გაერთიანების პერსონალთან ინტერვიუ ,( გაერთიანების დირექტორი, მთავარი ბუღალტერი,შესყიდვების და მონიტორინგის სპეციალისტი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.2026 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტი , რომელიც დამტკიცებულია ახალქალაქის საკრებულოს მიერ 2025 წლის 24 დეკემბრის N 31 დადგენილებით.
2.ფინანსური რესურსების მართვის წესი (ბრძ: N78 16/03/2026 წელი)
3.სასაქონლო ზედნადებები ( ელ-0872976961), მიღება ჩაბარების აქტები
4. პერსონალთან ინტერვიუ
5.ინვენტარიზაციის წაერმოების წესი : ბრძანება N77 დანართი N1 16/03/2026 წელი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

თარიღი : 25/05/2026 წელი

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მაკა ჭყონია | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

*კურიკულუმის ექსპერტი:* ნინო გულიაშვილი



*კვების დარგში ექსპერტი:* გულთამზე ხოროიშვილი



*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* ლანა კამლაძე



**4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** დანართი №1

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): :სოფ. პტენის #11 საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 2 26 0000231887 26/02/26 წელი |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: მუნიციპალიტეტი ახალქალაქი, სოფელი პტენა<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *23 -24 მარტი 2026 წელი* |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | 1.1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 63.13.32.041<br>2. მიმართვა მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ: წერილის ნომერი N13 05/02/2026<br>3. მიმართვა მუნიციპალიტეტის მერის სახელზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოთხოვნის შესახებ. წერილის ნომერი : N12 05/02/2026.<br>4.გაერთიანების დირექტორის ბრძანება( N344 31/12/2026 წელი ),,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ"<br>5.ვიზუალური დათვალიერება<br>6.გაერთიანების დირექტორთან და ბაღის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ<br>7..გაერთიანების დირექტორის ბრძანებით( N 37 თარიღი: 28/04.2025 ) განსაზღვრული ,,კურიკულუმიის განსახორციელებლად მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა"<br>8.ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ახალქალააქის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ: ბრძ N 344 31/12/2025 წელი<br>9. დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულემა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 63. 13.32.041 19/12/2017წ/2018წ ) , რომლის მიხედვით მესაკუთრე არის სსიპ თვითმართველი თემი ახალქალაქის მუნიციპალიტეტი .ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული განაცხადების მიღების ბარათი,რომლითაც მოთხოვნილია უზურფრუქტის უფლების მიღების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე,რომლის მისამართია :მუნიციპალიტეტი ახალქალაქი , სოფელი პტენა(ზონა:ახალქალაქი, სექტორი:პტენა ,საკადასტრო კოდი 63.13.32.041.(განაცხადის ნომერი 33798485, განაცხადის მიღების დრო:19/03/2026 წელი. ID ნომერი 223366122. დაწესებულებას აქვს შენობა ნაგებობის სქემა, დაწესებულებას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 24 თვის ვადით. დაწესებულებას აქვს მიმართვა მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შენობა-ნაგებობის სტექნიკური მდგომარეობის და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი დოკუმენტის შესახებ. (წერილის ნომერი:N12, N13 05/02/2026 წელი.) დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა .წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.ასევე დაწესებულებამ უზრუნველყოს ბაღის შენობის ნაგებობის სქემით უზრუნველყოფა | | დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის ნომერი N882026227263 , სადაც უზურფრუქტუარია ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება 5 წლის ვადით . ს/კ 63.13.32.041. მომზადების თარიღი 25/03/2026 წელი |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება აშენებულია 2019 წელს | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება არის ერთსართულიანი. ჯგუფის ოთახები განთავსებულია პირველ სართულზე. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | v | | | | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
